

პრესრელიზი

„GIG“ ჯგუფის დამფუძნებელი დავით ბეჟუაშვილი უკრაინაში პირველი კონცესიის პროექტის-ხერსონის პორტის უცხოელი ინვესტორისათვის მართვაში გადაცემის კონტრაქტზე ხელმოწერას დაესწრო



26 ივნისს ქ. ხერსონში უკრაინის მთავრობასა და ქართულ-შვეიცარიულ კომპანია “LLC RISOIL-KHERSON”-ს შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებას და ძალაში შევიდა უკრაინის ინფრასტრუქტურის სამინისტროს საკონკურსო კომისიის 2020 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება. კონტრაქტის თანახმად ხერსონის სავაჭრო საზღვაო პორტი კომპანია “LLC RISOIL-KHERSON”-ს 30 წლიან მართვაში გადაეცა. კონტრაქტის ხელმოწერის ცერემონიას ქ. ხერსონში უკრაინის პრეზიდენტი

ვლოდიმერ ზელენსკი დაესწრო. უკრაინის პრეზიდენტმა კონცესიის მხარდაჭერის შესახებ ხმამაღლა ჯერ კიდევ 2020 წლის დავოსის ეკონომიკურ ფორუმზე ისაუბრა და აღნიშნა რომ ეს უკრაინის ეკონომიკისათვის ახალი ეკონომიკური პოლიტიკისა და საკანონმდებლო ცვლილებების მნიშვნელოვანი ეტაპია. ამ რეფორმებმა ინვესტორს სტრატეგიული სახელმწიფო ობიექტების მართვის უფლება მიანიჭა, რამაც



პრესრელიზი



სრულიად ახალი და განსხვავებული შესაძლებლობები გააჩინა ინვესტორებისათვის და პირველ რიგში უკრაინის ეკონომიკისათვის.

აღსანიშნავია რომ, უკრაინაში პირველი წარმატებული კონცესიის პროექტის განხორციელებაში მთავრობის პარტნიორები საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია(IFC) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) გახლავთ.

უკრაინის ოფიციალურ პირებთან ერთად ცერემონიას დაესწრნენ გამარჯვებული ინვესტორი კომპანიის დამფუძნებლები: „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“-ს დამფუძნებელი დავით ბეჟუაშვილი და შვეიცარიული კომპანია „RISOIL S.A.“-ის წარმომადგენლები.

უკრაინის მთავრობამ, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, კონკურსში გამარჯვებული კომპანია საზოგადოებას და მედიას ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ წარუდგინა. ოფიციალური კიევი აღნიშნავდა რომ საკონკურსო პროცესი სამართლიანად და გამჭვირვალედ ჩატარდა. შერჩევის მთავარი პრინციპი გამარჯვებული

ინვესტორის სანდო რეპუტაცია და მათი,მხრიდან წარმოდგენილი საუკეთესო საინვესტიციო წინადადებები და ბიზნესგამოცდილება გახდა.



პრესრელიზი



თავის მხრივ ინვესტორმა კომპანიამ წარადგინა ქ.ხერსონის სავაჭრო პორტის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია და გეგმა. ინვესტორი ხერსონის პორტის განვითარებაში 300 მილიონი გრივნის ინვესტიციის განხორციელებას გეგმავს და ხერსონის ინფრასტრუქტურის მოწყობა- განვითარებაზე

ვალდებულებასაც იღებს.

კომპანია “LLC RISOIL–KHERSON”-ს რომლის მესაკუთრე გახლავთ „საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფთან“ აფილირებული კომპანია „Petrol Oil and Chemicals“ და შვეიცარიული კომპანია „RISOIL S.A.“ ხერსონის საზღვაო სავაჭრო პორტზე გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად უკრაინის ინფრასტრუქტურის სამინისტროს საკონკურსო კომისიამ 2020 წლის დასაწყისში გამოაცხადა.

კომპანია “ჯი-აი-ჯი“ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

